ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

№ 151
1877
ივლისის 13, კვირა 1903 წ.

№ 151
1903
ივლისის 13, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 ვითთ—1 მან. 50 კაპ.

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—4)

ქართული წიგნის მაღაზია

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—2)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. დამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და შაბათობით 11—12 ს.

ზრ. მ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდე-ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვების ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. მ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7— საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½, 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გათენებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წლ.

„გეორგია“

სავაჭრო—საკომისიონერო ამხანაგობა კავკასიაში

აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახანაგობამ გახსნა ჩანტორა ბათუმში, ოგლობჟიოს ქუჩაზე—და კისრულობს ყოველგვარ სავაჭრო საკომისიონერო საქმეებს,—აგენტობას, წარმომადგენლობას და სხვა. გამოუწერს მსურველთ რუსეთისა და საზღვარს გარეთის ფირმა—ქარხნებისაგან: სამეურნეო იარაღებს, ფარფორის ჭურჭლეულობას, აბრეშუმის თესლს, კრამიტს, ზეითუნისა და სხვა ზეთებს, მანუფაქტურის შალეულობას, შაბიაბანს, თაფლის სამთელს, თოკებს და სნვა.

გაუგზავნის საზღვარს გარეთ და რუსეთში: მარგანეცს, აბზესტს, ბარიტს, სიმინდს, თუთუნს, პარკს ბამბას, ნიგვზისა, მუხისა, და ბზიხეებს, მატყლს, კვერცხს და სხვა.

ათავისუფლებს ადგილობრივ დამოენებში ყოველ გვარ საქონელს, იხდის სატამოჟნო გადასახადებს, ჰგზავნის ამ საქონელს კუთვნილებისადმი და სხვა.

ყოველსავე ცნობებს, ჩვენი ამხანაგობის საჭირო აღსნას და ჩვენს პირობებს დაუყონებლივ მივაწოდებთ მსურველთ ერთ 7 კაპ. მარკად.

ჩვენისა და სხვა ქვეყნების საფუძლიანი ცოდნა და დიდი კავშირი სხვა-და-სხვა ფირმა-ქარხნებთან გვაძლევს საშუალებას: სწრაფად, წესიერად, ხელმისაწვდენ პირობით ავასრულოთ ყოველ გვარი მონდობილებანი.

ადრესი წერილისა: ახანაგობა „გეორგია“.
— დეპეშისა — „გეორგია“—
ბათუმში.
მმართველი ამხანაგობისა
იასე რაჭველი—მეხუზლა

(10—162—2)

ყირარდის მანუფაქტურების ს: აქც. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პა რუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდეგისა და მარკიზეგისათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონნერი და ლეიტცი. (100—65)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„სანზეიმო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ **ფიჭვისა მუხისა**, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—18).

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი (50—6—26)

ტფილისი, 13 ივლისი.

საქართველოში ექვსი სასულიერო სასწავლებელია, რომლებიც უწმინდესის სინოდის და აქაურ სამღვდელოების ხარჯით ინახებიან. ხარჯი ამ გვარად არის განაწილებული: უფროსი კლასების მასწავლებლებს უწმინდესი სინოდი აძლევს ჯამაგირს, ხოლო მოსამზადებელ კლასების მასწავლებლებსა ჲ აღმზრდელებს—სამღვდელოება (წვრილმან ხარჯებსაც სამღვდელოება ისტუმრებს.

ამას წინად გაზეთებში იყო აღნიშნული, რომ გორისა და თელავის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების კრებამ უარი უთხრა მთავრობას მოსამზადებელ კლასების მასწავლებლების ჯამაგირების მომატების შესახებაო. ჩვენის ფიქრით, ეს დიდი უსამართლობაა. სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების მასწავლებელნი არც ერთ მასწავლებელზედ ნაკლებ შრომას არ ეწევიან და ამიტომ იმათი შრომა უნდა ფასდებოდეს ისე, როგორც აფასებს საზოგადოდ მთავრობა სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლის შრომას.

უწმინდესი სინოდი საშუალო განათლება-მიღებულ მასწავლებლებს თორმეტ გაკვეთილში აძლევს 500 მ., ხოლო უმაღლეს სწავლა-მიღებულს, აკადემიელებს—900 მ. კვირაში. ხუთის წლის სამსახურის შემდეგ თორმეტი გაკვეთილი ნორმალურ გაკვეთილად ითვლება; ამაზედ მეტი-კი—დამატებით გაკვეთილებად. გარნა ყოველ დამატებით გაკვეთილზედ უწმინდესი სინოდი განსაკუთრებულ ჯამაგირს აძლევს. გარდა ამისა, იმ კანონში, რომილთაც სასულიერო სასწავლებლები ხელმძღვანელობენ, უწმინდესი სინოდი განმარტავს: სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების მასწავლებლებს ჯამაგირი უნდა ეძლეოდეთ იმ გვარის წესით, როგორადაც უწმინდესი სინოდი აძლევს დანარჩენ საშუალიო განათლების მასწავლებლებსაო.

ამ გვარად, ქართლ-კახეთის სამღვდელოება იურიდიულად მოვალე არის გაათანასწოროს მოსამზადებელი კლასების მასწავლებელნი ნორმალურ კლასების სემენარიელ მასწავლებლებთან. ზოგიერთ ადგილას, დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, სამეგრელოში, ამ გვარი წესი უკვე არსებობს. იქაური სამღვდელოება თორმეტ გაკვეთილში მოსამზადებელ კლასების მასწავლებელს აძლევს 500 მ. და ყოველ დამატებით გაკვეთილში 72 კ. უმატებს, ისე რომ იქ მოსამზადებელი კლასის მასწავლებლების ჯამაგირი 900 მ. ადის; აქ-კი, ქართლ-კახეთში, 600 მ. არაოდეს არ ასცილებია.

ქართლ-კახეთის სამღვდელოება, მარტო იურიდიულად-კი არა, ზნეობრივაც მოვალეა გააუმჯობესოს სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების მასწავლებლების და აღმზრდელების მდგომარეობა.

ამ ჟამად, საითაც მიიხედავთ, ყველგან იმას გაიძახიან: დრო არის, მასწავლებელნი, ეს პატიოსანნი მუშაკნი საზოგადოებისა, გაჭირვებიდამ გამოვიყვანოთო. ყველგან ისმის თანაგრძნობა მასწავლებელთადმი, ყველგან იმას ამბობენ, თუ რომ გვინდა სწავლა-აღზრდის საქმე გვარიანად მოვაწყოთ, მასწავლებლების მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთო. ჩვენი სამღვდელოება-კი უკუღმა იქცევა. თვითოეული სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელის კლასების მასწავლებელი დაუტვირთნია ოც და ოთხის გაკვეთილით და ჯილდოდ 500—600 მანათზედ მეტს არ იმეტებს.

ზოგიერთ სამღვდელოსაგან გაგვიგონია: შეძლება არა გვაქვს, ღარიბები ვართ და ამიტომ მასწავლებლებს და აღმზრდელებს არ შეგვიძლიან ჯამაგირები მოვუმატოთო. ჲ ზოგს კიდევ უთქვამს, სამოქალაქო სამრევლო სკოლების მასწავლებლებიც საშუალო სასწავლებლებიდამ არიან გამოსულები და სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების მასწავლებლები ბევრით უკეთეს მდგომარეობაში არიანო, და სხვა. მაგრამ ყოველი ამ გვარი მსჯელობა საბუთიანობას მოკლებულია. თუ კი ღატაკი სამეგრელოს სამღვდელოება პირნათლად ისტუმრებს მასწავლებლებს, ნუ თუ ესევე არ შეუძლიან ქართლ-კახეთის სამღვდელოებას, რომელიც ერთი-ორად მდიდარია დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებაზედ?! ესეც არ იყოს, დღევანდელი მდგომარეობა სამღვდელოებისა ერთი-ორად უმჯობესდება,—ეს ხომ ყველამ ვიცით! გარდა ამისა, ჩვენი სამღვდელოება ხვედრ ფულს მარტო თავის ფულიდამ ხომ არ იღებს, მომეტებული ნაწილი ეკკლესიებზეა გაწერილი.

ერთის სიტყვით, აქ საქმე სიღარიბეზედ არ არის დამოკიდებული. მიზეზი სხვა არის, მაგრამ ჩვენ ამ მიზეზის გამოკვლევას არ შევუდგებით; დაე გონება-გამჭრიახმა მკითხველმა თვითონ იგულისხმოს.

რაც შეეხება სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთა მდგომარეობას, იმათი მდგომარეობა აქამდისაც უკეთესი იყო სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების მასწავლებლებთან შედარებით და ახლა ხომ ერთიორად გააუმჯობესეს. სამრევლო სკოლებში კიდევ, მართალია, მცირე ჯამაგირი აქვთ მასწავლებლებს, მაგრამ იქ მასწავლებლად თითქმის სულ დაბალი კლასებში კურს-დამთავრებულნი არიან. საეპარქიო-საოლქო ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა შარშანდელ წლიურს ანგარიშში მოგვითხრობს, რომ 94 მასწავლებელში მხოლოდ 14 მასწავლებელია სემინარია-დამთავრებული და ისინიც ნარზედ სხედან, უცდიან ქარს, აცა, როდის ამოვარდება და სხვა ადგილისაკენ გაგვაქანებსო („სასულიერო მოამბე“ № 11, 12).

დასასრულ, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კეთილ-გონიერებით და სიმართლის მოყვარეობით გამსჭვალული ნაწილი ქართლ-კახეთის სამღვდელოებისა არ გაამწვავებს ამ საქმეს, ახლა მაინც შეუდგება მასწავლებელთა და აღმზრდელთა მდგომარეობის გაუმჯობესობას და არ აიძულებს უმაღლეს მთავრობას, ამ საქმეში ჩაერიოს.

ტფილისი

✦ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თ-დი გ. ს. გოლიცინი და მისი მეუღლე მარიამ თეოდორეს ასული გუშინ, დილის 11¼ საათზედ, საგანგებო მატარებლით რუსეთიდგან ბალა-

ჯარის გზით, ტფილისს მობრძანდნენ. სადგურზედ მათ ბრწყინვალებას მიეგებნენ თანაშემწე მთავარ-მართებლისა გენერალი ა. ფრეზე, შტაბის უფროსი ბელიავსკი, გუბერნატორი სვეჩინი, კომენდანტი ი. რეიტერი, თავად-აზნაურთა და ქალაქის წარმომადგენელნი, მთავრობის დაწესებულებათა უფროსნი მოხელენი და სხვანი. შუადღეს 15 წამი აკლდა, მთავარმართებლის ეტლი რომ სასახლესთან გაჩერდა. წინ პოლიცმეისტერი მიუძღოდა და თან ახლდა ყაზახთა ამალა.

✦ გუშინვე კავკასიის მთავარმართებელმა თ-დმა გოლიცინმა ბრძანება გამოსცა, რომ პეტერბურგიდგან დავბრუნდი და მთავარ-მართებლისა და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდლობის თანამდებობა კვლავად მე მივიღეო.

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან ქუთაისის გუბერნატორი გენერალი ა. სმაგინი და ერევნის ვიცე-გუბერნატორი თ-დი მ. ნაკაშიძე.

✦ გუშინ გაზეთი „ივერია“ არ გამოვიდა რედაქციის დამოუკიდებელ მიზეზისა გამო.

✦ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გუშინწინ წარუდგინა ქალაქის გამგეობას 49,000 მანათი ფუნიკულერის გაყვანის თაობაზე. ეხლა-კი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფუნიკულერს მართლა გაიყვანენ მთაწმინდის გორაზედ.

✦ ვაჭრების უსტაბაშის რჩევით, თამამშოვების ქარვასლის მოვაჭრეებმა თანხმობა გამოაცხადეს და ხელწერილიც მისცეს უსტაბაშს, რომ ამას იქით მაღაზიებს გააღებენ დილის 8 საათიდან და დაჰკეტენ საღამოს 8 სათზე.

✦ დურგლებს ამ ზაფხულს დიდი სამუშაო უჩნდებათ ქალაქს გარედ. ამ სამის დღის წინად ბათუმელმა იჯარადრებმა რამდენიმე ქართველი დურგალი წაიყვანეს და თვეში ხუთი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნეს. საერთოდ ქართველ დურგლებს უფრო კარგი სახელი აქვთ, ვიდრე სხვა ტომის ოსტატებს, მეტადრე იმიტომ, რომ უფრო ფხიზლები არიან, სასმელს არ ეტანებიან და საქმეს სინიდისიერად ასრულებენ.

✦ რადგან ბაქოდამ საქონლის მატარებლის მიმოსვლა შესწყდა, ამ გარემოებით ისარგებლეს ტფილისის მოვაჭრეებმა და ერთი სამად ასწიეს ნავთის ფასი, თუმცა აქაურ ვაჭრებს ნავთის აუზები სავსე აქვთ. დღეს ბაქოდან საქონლის მატარებელი მოვიდა და ვნახოთ, ნავთის ფასი დაიწევს, თუ არა.

✦ გაზეთ „პეტერბურგის უწყებების“, რედაქტორად, როგორც გაზეთ „ახალ მიმოხ.“-ს ატყობინებენ, ისევ თავ. ე. ე. უხტომსკი რჩება.—იმავე გაზეთს ატყობინებენ კავკავიდგან, ვითომც რკინის გზა აღარ გაჰყავთ შავის ზღვის ნაპირად და მის ნაცვლად გაიყვანენ ტფილისიდგან კავკავამდე.

— სახალხო განათლების სამინისტროს ცნობები მოუთხოვნია კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობისაგან ყველა იმ მამულების შესახებ, რომელნიც სომეხთა სამრევლო სკოლების საკუთრებას შეადგენდნენ.

✦ თანხმად ტფილისის გუბერნატორის მიწერილობისა, ხელოსანთა მოურავმა რაფაელოვმა ბრძანება გასცა, უსტაბაშებმა განუმარტონ ხელოსნებს, რომ სახელოსნოები სუფთად და რიგიანად შეინახონ, როგორც ამას სახელოსნო მრეწველობის წესდება თხოულობს. ბ-ნმა რაფაელოვმა აგრედვე დააბეჭდვინა 1000 ცალი ფურცელი სახელოსნო წესდების იმ მუხლებისა, რომლებიც სამუშაო დროს შეეხება. ეს ფურცლები უნდა ჩამოკიდებული იყოს ყველა სახელოსნოში. სახელოსნო წესდების მე-430 და მე-431 მუხლების ძალით, სახელოსნოებში მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის 6 საათზედ და თავდებოდეს საღამოს 6 საათზედ. ნახევარ საათს მუშები ისვენებენ საუზმისთვის, ხოლო საათ-ნახევარს სადილისათვის. მოურავმა განუმარტა მუშებს, რომ ვინც მთავრობის წესებს წინააღმდეგობას გაუწევს, იმას პირველად გარდახდება ჯარიმა 3 მან., მეორედ—5 მან., მესამედ—10 მან. და თუ მეოთხედ შენიშნეს, მაშინ სრულიად დათხოვნილ იქნებაო.

✦ გამოვიდა ჟურნალ „მოამბის“ მე-VI წიგნი (ივნისი), რომელშიაც სამი ნათარგმნი წერილია დაბეჭდილი და ორიც ორიგინალური: „ქართველთა მატიანე“ მოსე ჯანაშვილისა და „უცხოეთის მიმოხილვა“.

✦ ჩვენ გავიგეთ, რომ იმ ავაზაკთა ბრბოში, რომელიც ეხლა გორის მაზრაში დათარეშობს, გამოჩენილი და მეტად დაუნდობელი ავაზაკებიც ურევიან: ალექსა ხასიშვილი, იგივე ხეთაგური, ნარელი ოსი, რომელიც ტატე ჯიოშვილის ამხანაგი იყო, კატორღაში უვადოდ გაიგზავნა და იქიდგან გამოქცეულა; მეორე ავაზაკი ხადო ხანიკაშვილი, აგრედვე ოსი, რომელიც კავკასიის გზაზედ ფოსტის გაძარცვაში ერია, კატორღაში გაიგზავნა და იქიდგან გამოიქცა; მესამე ავაზაკი, გვარად ცხოვრებაშვილი, ჯავის ხეობელი ოსი, რომელიც სასამართლოს განჩინებით ორჯერ ციხეში იყო დაპატიმრებული, ორჯერვე რვა თვით, თავ. იოსეფ ამირეჯიბის სახლის გამტეხი, ამას წინად პოლიციის დარაჯებს მთვრალი დაეჭირათ და ხელშეკრული სურამს მიჰყავდათ, მაგრამ გზაზე ხელები გაინთავისუფლა და გაიქცა.

✦ საზარელი ამბები კიდევ ჩამოგვიტანეს გორის მაზრიდგან: ოსების სოფელ მეტეხში (ატოცის საზოგადოება, სურამის საპოლიციო ნაწილი) ავაზაკებს ექვსი ქალი მოუტაცნიათ და ტყეში წაუყვანიათ; მათ შორის ორი რვა წლის ბავშვი ყოფილა, რომლებიც გამხეცებულ ავაზაკებს არ დაუნდვიათ. საბრალო ბავშვები ავლევის სოფლის სამკურნალოში ჩამოუყვანიათ და იქა სწამლობენ.

ამას წინად ამავე საზოგადოებაში ავაზაკებმა სამი გლეხის ოჯახი დაარბიეს.

✦ ოქონის საზოგადოებაში ავაზაკებმა ორი გლეხის ქალი (რაჭველიშვილები) მოიტაცეს.

რა-კი ავაზაკობა გაჩნდა, ეხლა ადგილობრივი ოსი ხიზნებიც აიშალნენ და ქურდობა დაიწყეს; არამც თუ ქართველ ოჯახებს, ერთი-ერთმანეთსაც-კი აღარ ინდობენ.

✦ ავჭალის ქუჩის ახლო, სადაც ქალაქმა ამ ორისა თუ სამი წლის წინად ბაღი გააშენა, დღესაც ნემეცების სასაფლაოა. წინად ეს ადგილი ქალაქის მოშორებით იყო. ეხლა კი აქ კარგა დიდი უბანია და სასაფლაოს ირგვლივ მრავალი სახლი აკრავს. ამას არავინ დაგიდევს და დღესაც წინანდებურად მიცვალებულებს აქ ასაფლავებენ. მეტი იქნება გავაბათ ლაპარაკი და საბუთები მოვიყვანოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ხალხის ჯანმრთელობისათვის ეს სასაფლაო მავნებელია. თუ მართლ-მადიდებელთა და სხვა სჯულის ხალხისათვის ქალაქს გარედ გადიტანეს სასაფლაო, ნემცებს რად უნდა ჰქონდეთ უპირატესობა. მით უფრო საკვირველია ქალაქის სამმართველოს უყურადღებობა, რომ ქალაქსაც აქვს უხეირო, გამოუსადეგარი ადგილები და თვით ნემცებიც მდიდარი ხალხია და ადვილად შეუძლიათ შეიძინონ ქალაქს გარედ შესაფერი ადგილი.

ორი შესანიშნავი სამეცნიერო აღმოჩენა.

ქირურგიამ და დოსტაქრობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ იმის წყალობით, რომ შეუძლებელია დოსტაქრის დანით მოქმედების დროს გაჭრილი ალაგი მოიწამლოს და აგრედვე იმის წყალობით, რომ ბანგის შემწეობით შეიძლება ისე დააძინო საოპერაციო ადამიანი, არავითარს ტკივილს არა ჰგრძნობდეს, როცა დანით უჭრის ქირურგი ხორცს.

ბანგით დაძინება რომ არ მოეგონათ, ვერავინ ვერ შეუძლებდა ისეთს ოპერაციას, რომელიც ორსა და სამს საათს გრძელდება და დიდს, აუტანელს ტკივილებსაც იწვევს. ქლოროფორმის ხმარებამ, ბანგმა ეს დიდი დაბრკოლება ააშორა თავიდან ტანჯულს ნაწილს კაცობრიობას. მაგრამ დღემდე კიდევ, ცოტად თუ ბევრად, საშიში იყო ქლოროფორმის ხმარება იმათთვის, ვისაც გული სუსტი აქვს. ამისთანები ვერ უძლებდნენ ბანგით დაძინებას და საოპერაციო დანის ქვეშ კვდებოდნენ. თუმცა იშვიათი იყო ამისთანა შემთხვევაში სიკვდილი—სიდამბლე გულის მუსკულატურისა, მაგრამ მაინც შიშსა ჰბადავდა ეს გარემოება და გულდაჯერებული ვერა წვებოდა კაცი საოპერაციო მაგიდაზე ბანგის მისაღებად. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ათას შემთხვევაში მხოლოდ ერთი ვერ იტანს ბანგსაო, მაგრამ შიში მაინც დიდი იყო.

მკურნალს შეუძლიან სიკვდილი აარიდოს თავიდან ბანგით დაძინებულს, მაგრამ ამისათვის დიდი სიფრთხილე ჰმართებს: გამუდმებით უნდა ეჭიროს მაჯა დაძინებულისა და გაფაციცებით ადევნებდეს თვალ-ყურს, რომ არ შეიცვალოს საუარესოდ ცემა გულისა. ამ დროს მეორე მკურნალი დანით ჰმოქმედობს. მაშასადამე, ოპერაცია ძნელი იყო იქ, საცა ერთის მკურნალის მეტი არ იყო, როგორც, მაგალითად, სასოფლო ქსენონებში. ამას გარდა, თვით მკურნალიც გულით სუსტს ავადმყოფის ოპერაციას ძნელად კისრულობს: როცა გაფაციცებით უნდა ადევნო თვალ-ყური ავადმყოფის მაჯის ცემას, შესაძლებელია, ისე დაგეღალოს გონება, მეტადრე თუ ოპერაცია ერთსა და ორს საათს გასტანს, რომ მკურნალმა დაჰკარგოს მგრძნობელობა და ხელმა ველარ იგრძნოს რიგზე მაჯის ცემის ხასიათი.

ახლა ვენის უნივერსიტეტის პროფესორს ექსპერიმენტალურის პატალოგიისას დ-რს გერტნერს მოუგონია ისეთი აპარატი, რომელიც თვითონვე აღნიშნავს გულის-ცემას და აღნიშნავს დიდის ზედმიწევნით. როგორც საათის ციფერბლატი, ისეა ამ აპარატზე ისარი და ამ ისრის მოძრაობა ჰნიშნავს ყოველს გულისცემას. მკურნალი უცქერის ამ ისარს და ამჩნევს, საშიშია თუ არა განგრძობა ოპერაციისა. თუ საშიშია, წინდაწინვე ატყობს და აფხიზლებს ავადმყოფს ბანგისაგან, რათა მისცეს შეძლება გულს შეისვენოს. მკურნალიც შეიტყობდა ხოლმე ამას უაპარატოდ, მაგრამ უფრო გვიან შეიტყობდა, როცა შველა ავადმყოფისა ბევრად უფრო ძნელი იყო.

ასეთია ეს ახალი აღმოჩენა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქირურგიის უფრო მეტის წარმატებისათვის.

მეორე აღმოჩენა თვალის ავადმყოფობას შეეხება, ესრედ წოდებულს ტრახომას. ტრახომა თვალის სიწითლეა და გადამდები თვისება აქვს. უფრო ღარიბს ხალხს უჩნდება, რომელიც უსუფთაოდა სცხოვრობს. უსუფთაობა, ბოლო, მტვერი, მეტადრე კალოისა, აი რა აჩენს ტრახომას. აქამდე ტრახომას სწამლობდნენ შაბიამანითა და სხვა წამლებით, რომელიც დიდ ტკივილებს იწვევდა. დიდხანსაც იყო საჭირო ამ წესით წამლობა და ღარიბ ხალხისთვის ძალიან ძნელი იყო მუდამ ჩა-

ფელეტონი

საარაკო გადათქმა

(ვუძღვნი ყოველს სიმართლის მოყვარეს).

(დასასრული *)

ბ-ნს როსტომაშვილს არამც თუ არ უთქვამს სამეურნეო საზოგადოებაში ის, რაც „მოგზაურში“ დაბეჭდა შემდეგში, არამედ ვერც იტყოდა ვერას გზით, რადგანაც ამისთანა ნათქვამი პირდაპირ უარყოფა იქნებოდა იმ შეხედულობისა, რომელსაც ემონებოდა მთელს თავის სიცოცხლეში საქმე ის გახლავთ, რომ მას უკან, რაც-კი იგი გადმოხტა სკოლის სკამიდგან, უერთგულესი მოსამსახურე იყო ანტიპედაგოგიურის, პოლიტიკანურს შეხედულობისა და მუდამ ეწინააღმდეგებოდა საღს პედაგოგიურს შეხედულობას. აი ამისი უტყუარი ფაქტები:

1876 წელში მან გამოსცა პაწია არითმეტიკა ქართულს ენაზედ და პირველი ოცეულით გაათავა საქმე. და იცით რითი გაამართლა ასეთი შეკვეცა ქართულის არითმეტიკისა? მოისმინეთ. „ეს წინადადებანი—ამოცანანი—როგორც ჰხედავს მკითხველი, შედგენილია მხოლოდ ოცს რიცხვამდის. ამის მიზეზი იყო ისა, რომ ამ ჟამად არც ერთს სასწავლებელში და, მგონია, არც ერთს ქართულს ოჯახში არ ასწავლიან ქართულს ენაზე ანგარიშს ამაზედ ზევით“, ამბობს ჩვენი პოლიტიკანი თავის წიგნაკის წინასიტყვაობაში. და ეს სთქვა იმ დროს, როდესაც ყველა სახალხო სასწავლებლებში ყველა საგანი და მათ შორის არითმეტიკაც დედა-ენაზე ისწავლებოდა მთელის ხუთის წლის განმავლობაში, და გეგმაც მაშინ ასეთი არსებობდა. მაგრამ მაშინაც იყვნენ პოლიტიკანები, (მაგალითად, ზახაროვი, დირექტორი სასტატო სემინარიისა და ქელიხოვსკი, დირექტორი პირველის გიმნაზიისა), რომელნიც მტრული თვალით უყურებდნენ სწავლებას დედაენაზე, აშინებდნენ თვით მაშინდელს მზრუნველს სამოსწავლო ოლქისას და ყოველ ღონისძიებას ჰხმარობდნენ, რათა სწავლება ყოველი საგნისა სახალხო სკოლებში მოეწყოთ რუსულს ენაზე მეორე წლიდგან მაინცა. თვით იმ რუსს პედაგოგებს (მაგალითად, სემენოვს, სიმსონოვიჩს), რომელნიც, თანახმად დიდი პედაგოგის უშინსკის მოძღვრებისა, მოსარჩლენი იყვნენ დედა-ენაზე სწავლებისა მთელის ერთ-კლასიანი სკოლის კურსის განმავლობაში, მოღალატეობას სწამებდნენ ეს პოლიტიკანები, სდევნიდნენ და გაძევებას უპირებდნენ. და აი, ამ პოლიტიკანების მოწაფე და მიმდევარი გახლდათ ბ-ნი როსტომაშვილი და მათს უკუღმართს მიმართულებას ემსახურებოდა.

1876—79 წლებში მეტად გაძლიერდა კამათი პედაგოგიურის და პოლიტიკანურის შეხედულობის მიმდევართა შორის. პირველთა ორგანოდ ითვლებოდა ყოველდღიური გაზეთი „Тифлис. Вѣстникъ“, რომელსაც მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაშიაც და მმართველთა შორისაც; მეორეთა ორგანო იყო ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“. გამარჯვება დარჩა მძინარა პედაგოგის სიმართლესა, რადგანაც მან დღესავით ცხადად დაამტკიცა, რომ სახალხო სკოლები ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა, სადაც ზახაროვი ახორციელებდა თავის პოლიტიკანურს გეგმას, ყოვლად უნაყოფონი არიან და ხალხში სიძულვილის მეტს არას ჰბადავენო. ამის გამო ეს სკოლები ჩამოერთვა ზახაროვს, გარდაეცა სასულიერო მთავრობას და მათში სწავლება დაწესდა დედა-ენაზე...

აი ამ დროსაც ბ-ნი როსტომაშვილი გზავნიდა „Тифлисскій Вѣстникъ“-ში იმისთანა წერილებს, რომელნიც ეთანხმებოდნენ ზახაროვის მიმართულებასა და არითმეტიკის წინასიტყვაობაში მოყვანილს აზრსა. რასაკვირველია, ყველა ამისთანა წერილი გაიგზავნებოდა ხოლმე სარედაქციო კალათში. სიმართლე მაიძულებს ვაღიარო, რომ ქართველ პედაგოგთა შორის ბ-ნი როსტომაშვილი ერთად-ერთი იყო, რომელიც ბანს აძლევდა ხმა-მაღლა პოლიტიკანებსა. სხვას არავის ჩაუდენია ეს ცოდო.

1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 23 და 24) მან დაბეჭდა წერილი ამ სათაურით: „როგორ უნდა მოეწყოს სახალხო სკოლა ჩვენში?“ ამ წერილში იგი ითხოვდა პირველად იმას, რომ თვით პირველი წლიდანვე დაწყებულიყო სწავლება ყველა საგნებისა რუსულს ენაზედაც, პარალელურად, და მეორედ იმასა, რომ ქართულის ენის სწავლება ჩამორთმეოდა მასწავლებელსა და ჩაბარებოდა მღვდელსა.

იმავე „ივერიაში“ (იხილე №№ 140 და 141) ნაცნობმა დღესავით ცხადად დაუმტკიცა ბ-ნს როსტომაშვილსა, რომ მისი პროექტის განხორციელება სწორედ ყელს გამოსჭრის სახალხო განათლებას და სკოლას ჯოჯოხეთად გარდააქცევსო. კერძოდ, მღვდლის ხელში ქართული ენა ფაქტიურად გაუქმდება, რადგანაც მღვდელს არც დრო და არც მომზადება არა აქვს ამ საგნის რიგიანად სწავლებისათვისაო.

სამწუხაროდ, ბ-ნი როსტომაშვილის აზრი ქართულის ენის სწავლების შესახებ მღვდლის მიერ რამდენისამე წლის შემდეგ დაკანონდა და რომელ სოფელშიაც-კი განხორციელდა, ყველგან სავსებით გააუქმა ქართული წერა-კითხვა ფაქტიურად, და შემდეგშიაც გააუქმებს, სადაც-კი ეს უკუღმართი წესი შემოღებული იქნება...

მხოლოდ ამავე პოლიტიკანური მიმართულებით აიხსნება შემდეგნი მოქმედებანი ბ-ნი როსტომაშვილისა: მან გამოსცა ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც მთელმა ჩვენმა პრესამ ერთხმივ აღიარა მახინჯ გამოცემად, რადგანაც მასში სიტყვები რუსულად არის დაბეჭდილი და განმარტება კი ქართულად; მან დააარსა უდღეური სამეურნეო კურსები ხალხისათვის, და სწავლება დააწესა, დააკანონა არა დედა-ენაზე, არამედ გაუგებარზედ; მას თავის დღეში კრინტი არ დაუძრავს პოლიტიკანების წინააღმდეგ, სამაგიეროდ ხშირად უჩხიკინებდა შინაურს პედაგოგებს, და ეხლაც, თავისი ჟურნალის უკანასკნელ ნომერში ძირიანფესვიანად ამოფხვრას ემუქრება ამ უკანასკნელებსა, და სხვანი.

როგორ არ უნდა მიეცეს კაცი განცვიფრებას, როდესაც ვაჟბატონი, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში მუდამ უმღეროდა ქართველობას უკუღმართს პოლიტიკანურს ძილის პირსა, მძინარეებს ეძახის მათ, ვინც მუდამ ჟამს ჰქადაგებდნენ ქართულსა და რუსულს ენაზედ საღს პედაგოგიურს აზრებსა და სცდილობდნენ გამოეფხიზლებინათ საზოგადოება.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „მოგზაურის“ მეორე წიგნში იგი რუსულს ენას იწყებდა სახალხო სკოლაში მეორე წლიდგან, უკანასკნელ ნომერში კი პირველი წლიდგან იწყებს არა მარტო რუსულს ენასა, არამედ რუსულს წერა-კითხვასაც. თუ ასეთი პროგრესით იარა ჩვენმა პედაგოგმა, ამ წლის განმავლობაშივე ჩავა ზახაროვის დონემდე, მეტადრე თუ მას მოაკლდა მეცენატის წყალობა, რომლის შიშმაც ჩაადენინა საარაკო გადათქმა, როგორც ყველა გარემოებიდგან სჩანს.

მაგრამ თავი დავანებოთ მომავალსაც და წარსულსაც. მთელს ჩვენს ზრუნვას ითხოვს აწმდგომი.

მთავარი საკითხი აწმდგომისა აი რაში მდგომარეობს: რა გზით, რა ღონისძიებით უნდა შევამციროთ ის დიდი ვნება, რომელიც ხალხის განათლების საქმეს მიაყენა ბ-მა როსტომაშვილმა თავისი უკუღმართი მსჯელობით „სამეურნეო საზოგადოებაში“? ისინი, ვის ხელშიაც სახალხო განათლების ბედია, დარწმუნებულნი არიან, რომ სამეურნეო საზოგადოების მიერ მიღებული გეგმა მავნებლად მიაჩნიათ რუსულის ენის ინტერესებისათვის როსტომაშვილსა და იქნება ზოგ სხვა ქართველსაცაო. და ეს კი ასუსტებს და აბათილებს ამ დიადს შუამდგომლობასა. ბ-ნი როსტომაშვილი მოვალე იყო დაერწმუნებინა ეს პირნი რუსულს ენაზე წინააღმდეგში, თუ გულწრფელად სურდა საქმის სიკეთე. მაგრამ მან კრინტიც არ დასძრა ამისათვის. როცა თავისი საარაკო გადათქმა დასტამბა „მოგზაურში“, მან სთხოვა ქართულს გამოცემებს გადაებეჭდათ; მაგრამ, რასაკვირველია, უარი მიიღო, რადგანაც სიცრუეს რომელი რედაქცია გადაბეჭდავდა, და თუნდაც გადაებეჭდათ, რა გამოვიდოდა? იქნება ქართველ საზოგადოების თვალში ცოტათი გაესწორებინათ მისი სახელი, ხოლო საქმეს ვერას უშველიდნენ, რადგანაც უფლებით შემოსილნი პირნი ქართულ გაზეთებს არა ჰკითხულობენ. მიმართა სამეურნეო საზოგადოების გამგეობასაც თხოვნით, რომ პროტოკოლში ისე ჩაეყვანათ მისი აზრი, როგორც მან ეს დაბეჭდა გადათქმით „მოგზაურში“. მაგრამ იქაც უთხრეს: როგორ შეიძლება, ეგ ხომ ტყუილი იქნება, და მაგრე ჩაწერით ძლიერ ვავნებთ საქმესაც, რადგანაც იტყვიან: დახე, დახე, რა ტენდენციურად ცრუობენო; როსტომაშვილმა ერთი სთქვა, და პროტოკოლში-კი სხვა ჩაუწერიათ, რათა მოწინააღმდეგეც თავის მომხრედ გამოიყვანონ და თვალები აგვიხვიონ. ჩვენც ისე დავბეჭდავთ, როგორცა სთქვით, და თუ ახლა სხვა აზრზე დადექით, დასწერეთ ეგ აზრი ცალკე წერილში, მოტანეთ თქვენი ხელმოწერილი და დიდი სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენს გაზეთშიო. მაგრამ როსტომაშვილმა არავითარი წერილი არ მიიტანა,

ახლაც ეშველება საქმეს მეტ-ნაკლებობით, რადგანაც ჯერ არ გაგზავნილა აქედგან პეტერბურგში სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა შესახებ სწავლის მოწყობისა დედა-ენაზე სახალხო სკოლებში. სწადიან ბ-ნს როსტომაშვილს შეამციროს ვნება, რომელიც მან დიდმნიშვნელოვან საქმეს მიაყენა? დაბეჭდოს გაზეთს „კავკაზ“-ში ის აზრი, როგორც თავისი გულწრფელი რწმენა, რომელიც დასტამბა თავის ჟურნალ „მოგზაურში“ და აცნობოს ამ სახით, სადაც ჯერ არს, რომ მასაც საჭიროდ მიაჩნია მთელის სწავლების მოწყობა დედა-ენაზე სახალხო სკოლებში, და სხვანი...

თუ ამას იზამს, ჩვენ დავივიწყებთ ყოველს მის უკუღმართობას წარსულში, გვეხსომება მხოლოდ ის სიკეთე, რაც მან მოუტანა ჩვენს საზოგადოებას, და ვიქნებით ერთგული მოსარჩლე ყოველი მისი სასიკეთო ნაბიჯისა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი კეთილ-გონიერი თანამშრომელი „მოგზაურისა“ და ხელის მომწერი, და ყოველი რიგიანი ქართველი მოვალეა ზურგი შეაქციოს ბ-ნს როსტომაშვილსა.

მძინარა პედაგოგი

P. S. თუმცა ბ-ნი როსტომაშვილი შეიარაღებულია თავისი საკუთარი ყოველ-თვიური ჟურნალით, მაგრამ „ივერიის“ რედაქციას მაინც ვთხოვ მისს პასუხს ადგილი დაუთმოს თავისს გაზეთის სვეტებზედაც და უცვლელად დაუბეჭდოს იგი

მ. პ.

---

*) იხ. „ივერია“, № 150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვეთება თვალებში ამ წამლებისა. ამიტომ ტრახომით ავადმყოფი ანებებდა თავს წამლობას და იტანჯებოდა და სხვასაცა სდებდა თვალის ავადმყოფობას, ვიდრე სულ არ დაევსებოდა თვალები.

ბოლოს დაუწყეს ხმარება ციტროლსა. მართალია, ეს წამალი ისეთს ტკივილებს არ იწვევს, მაგრამ მაინც მისი ხმარება შეუძლებელია უექიმოდ.

დოქტორმა არლტმა ამ უბედურებსაც უშველა. არლტი შვილია შესანიშნავის თვალის ექიმისა. მან მოიგონა ტრახომის სამკურნალოდ ხმარება ერთგვარის წამლისა რომელიც უექიმოდაც ადვილია ყველამ გამოიყენოს. ამ წამლის ხმარებას სწორედ სასწაული მოუქმედნია. ავსტრიის მთავრობას უკვე ჯარში შემოუღია მისი ხმარება. ახლა-კი ეშველება ტრახომით ავადმყოფ ღარიბსა და საწყალს ხალხს. სასურველია მხოლოდ, რომ ჩვენშიაც მალე გავრცელდეს ამ წამლის ხმარება.

მ. ამაზასპ საფარიანი და მ. დიონოსე კალატოზიანი.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ 143 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი უდელისა, რომელიც მწუხარებით აღნუსხავს, რომ დღეის შემდეგ მესხეთის და ჯავახეთის ქართველ გვარის კათოლიკეთა სასულიერო გამგეობას ახალციხეში სომეხ-კათოლიკეთა მღვდლები განაგებენო. ეს ახალი მმართველნი სომეხ-კათოლიკეთა მღვდელნი არიან—ამაზასპ საფარიანცი მხითარისტი და დიონოსე კალატოზიანცი, ესეც მხითარისტიო.“

შეუძლებელია, რომ მხითარისტი ამაზასპ საფარიანცი იყოს და არა საფარელი; საფარელი, საფარიანცი შთამომავლობით ქართველია; მისმა წინაპრებმა სომხურისა ინჩიც არ იცოდნენ. საფარიანცის მშობელმა და დებმაც სიტყვაც არ იციან სომხურისა. თვით საფარიანცის დედაც-კი ქართულ წიგნებს კითხულობს.

ეს გვარი ერთობ ძველის ძველია. ამ გვარის ისტორიას მჭიდრო კავშირი აქვს საფარის ტაძართან და გაბრიელ მღვდელმთავრის საფარელის ცხოვრებასთან, რომელიც VI საუკუნეში სცხოვრებდა. გარდა ამისა საფარაშვილების გვარის წევრნი დღეს მრავლად სცხოვრობენ აჭარას, მაჭახელს და სხვაგანაც; ისინი ჟამთა ვითარების მეოხებით გამაჰმადიანებულნი არიან, კარგად იციან, რომ ქართველის ტომისანი არიან შთამამავლობით. სწორედ იმ შავ-უკუღმა დროს, როცა დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში ქართველთ გამაჰმადიანება დაიწყეს, რამდენმამე კომლმა საფარაშვილების გვარისამ თავს უშველეს და, ისლამის მაგიერ, კათოლიკობას შეუერთდნენ. მას შემდეგ ეს კათოლიკე ქართველნი, სამცხე-საათაბაგოდამ აქა-იქ ოსმალეთის ისეთ ქალაქებისკენ გაიფანტნენ საცხოვრებლად, სადაც მათ ქრისტიანები ყვულებოდათ. როგორც ვიცით, შემდეგ კათოლიკე საფარაშვილების გვარის წევრნი გრიგორიანობაზედ იქმნენ ძალით მიქცეულნი. ასე რომ დღეს ვინც კი სცხოვრობენ ამ გვარის კათოლიკენი, გრიგორიანები და მაჰმადიანები აჭარა-მაჭახელში, ყველანი ქართველნი არიან შთამამავლობით.

უეჭველია, ყველა ეს ისტორიული ცნობა პატივცემულს მხითარისტს მამა საფარიანს კარგად ეცოდინება.

მამა საფარიანმა ადრე, ვენეციაში, სომხურს ენაზედ დასტამბა „მოკლე მინერალოგია“, სადაც, სხვათა შორის, ერთ ალაგას სწერს, რომ „ასპინძა და აბასთუმანი რუსეთის სასომხეთშია“. თავის აზრის დასამტკიცებლად მამა ამაზასპს სახელწოდებანიც დამახინჯებული აქვს, მაგალითებრ ასპინძას ასპინჯანს უწოდებს და აბასთუმანს—აპასთუმანს! უეჭველია ამ გარემოებამ ბევრს აფიქრებინა, რომ მამა ამაზასპი თავის გვაროვნობას გადაუდგა და სომხობას შეუდგა.

მხითარისტი მამა დიონოსე კალატოზიანცი სულაც არ არის კალატოზიანცი. იგი გვაროვნობით არც სომეხია. მათი ძველი გვარი მცინარაძეა. იგინი სამცხელნი არიან, ძველადგანვე ახალციხეში სცხოვრობდნენ. მათი წინაპარნი ახალციხეში კალატოზის ხელობით სცხოვრობდნენ, ამიტომ ახალციხეში, ოსმალთა მფლობელობის დროს, მათაც გვარად კალატოზი, ანუ კალატოზისშვილები ეწოდათ. მოგეხსენებათ, რომ კალატოზისშვილები მრავლად სცხოვრობენ ქართლში, კახეთში, იმერეთში და სამცხე საათაბაგოს. ქართლში ამ გვარის აზნაურიშვილნიც არიან.

უეჭველია, რომ ყველა ეს ცნობანი მამა დიონოსეს, როგორც განათლებთლს მხითარისტს, კარგად ეცოდინება. კათოლიკე კალატოზიშვილები დღეს გურიაში სცხოვრობენ, ოზურგეთს; იქ გარდასახლებულან მეცხრამეტე საუკუნის დამლევს. თვით დიონოსე კალატოზიშვილიც იქაური გახლავთ, ე. ი. გურული.

სრული იმედი მაქვს, რომ, როგორც საფარაშვილი, ისე კალატოზიშვილი, ჩვენს ქართველობის მომხრობას დაიწყებენ და ქართველთათვის სავნოდ არას მოინდომებენ.

ზ. ჭ.

ჩვენებური ამბები

დ. აბაშა. 4 ივლისს, საღამოს 9 საათზედ, აქაურ მცხოვრებს, მედავითნეს, დიმიტრი ძველაიას, დაეცნენ სამი ბოროტ-განმზრახველნი და წაიღეს ოთხასი მანეთი ნაღდი ფული, რომელიც გამზადებული ჰქონია გასაგზავნად ჟენევაში სტუდენტ-შვილისათვის, ვერცხლის ჭიქა, ღირებული ხუთ მანეთად და ვერცხლის ჯვარი. პოლიციის მიერ მიღებულმა ღონისძიებამ ჯერ-ჯერობით ბოროტ-განზრახველნი ვერ აღმოაჩინა.

გ. ჩ—ია

—

ბათუმის საბჭოს 8 ივლისს ერთი გამგეობის წევრთაგანი უნდა აერჩია ქალაქის მოურავის მოადგილედ, მაგრამ ხმოსანთა საჭირო არ რიცხვი გამოცხადდა. რადგანაც ეს მეორედ იყო დანიშნული საბჭოს კრება მოურავის მოადგილის ამოსარჩევად და ორჯერვე კრება არ შესდგა, ეხლა თვით მთავრობა დანიშნავს მოურავის მოადგილეს ამბობენ რომ ზოგი ხმოსანი განგებ არ დაესწრო საბჭოს კრებას, რადგანაც იმედი არა ჰქონდათ, რომ გამგეობის წევრი ივანოვი არჩეულიყო მოურავის მოადგილედ.

—

სურამის ბოქაული პოდგორნი სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა და მის ადგილას დაინიშნა ბოქაულად ბ-ნი ტენინბერგი.

კავკასია

პიატიგორსკი. ძლივს დასრულდა აქ ვაჭრობა და მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობიანად ჩაიარა და ბოროტ-მოქმედება არა მოხდარა-რა. ეს კი იყო, რომ ორიოდეს ამოუსუფთავეს ჯიბეები აქაურმა ხელ-ბედნიერებმა და დასტოვეს ულუკმა-პუროდ. ვაჭრობის ბოლო რიცხვებში სტ. გარჩევიცკაში, სახელმწიფო დუქნის „მონოპოლიის“ ფანჯრები გაეტეხნათ ქურდბაცაცებს, მაგრამ გადასვლით-კი ვერ გადასულიყვნენ რადგან პატარა ფინია ძაღლს აეტეხნა წავწკავი, ყეფა და დუქნის გამგეს გამოღვიძებოდა. ქურდები მიიმალნენ.

3-ს ივლისს, აქაური გიმნაზიის მოსწავლენი წასულან სასეირნოდ ახლო მდებარე მთაზე მეშტაოზე; მოსწავლეთა შორის აქაური მცხოვრებლის უშაქოვის შვილიც ყოფილა, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო გადავარდნილა მთიდან და მეორეს დღეს იპოვეს ხევში მკვდარი.

5-ს ივლისს აქ მოხდა საზარელი კაცის კვლა: აქაურის მცხოვრებლის ლეიცინგერის ოთახებში ყოფილა სამკურნალოთ მოსული ვიღაც ექიმი ცოლით. დღის 3 საათზე გაისმა რევოლვერის ხმა; ამ ხმაზე შეცვივნულა ხალხი და უნახავთ შემდეგი საზარელი სურათი: ოთახში მყოფი კაცი მკვდარი და ქალი ორს ადგილას დაჭრილი. ქალს ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მარჯვენა მხარში. როდესაც ქალი მოასულიერეს, პოლიციის მოხელეს განუცხადა: „ჩემმა ქმარმა ორჯერ მესროლა რევოლვერი და ორივე მხარში მომხვდა; როდესაც მნახა წაქცეული, თითონაც დაიცა რევოლვერი გულში. ქალი სამკურნალოში წაიყვანეს და ჯერ არ უთქვამს მიზეზი, რამაც გამოიწვია ცოლქმარ შუა ეს საზარელი მკვლელობა.

აქეთ ამინდები კარგია. თიბვა თითქმის გათავდა. მოსავალს კარგი პირი უჩანს

მწყემსი.

რუსეთი

— ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა შინაგან საქმეთა მინისტრს ფონ-პლევეს, სამინისტროს ფულიდან გაუგზავნოს სამარის გუბერნიის სოფ. პოკროვსკის გადამწვართ შემწეობის აღმოსაჩენად 50 ათასი მანეთი.

— მთავრობას განზრახვა აქვს, რომ დააწესოს საბეითალო თვალ-ყურის გდება იმ ცხენებზედაცა, რომელიც გასასყიდად არის დანიშნული. ცხენებსაც შეუძლიათ ისევე გაავრცელონ სხვა-და სხვა გადამდები საქონლის ჭირი, როგორც თვით საქონელსაო.

— ქალაქ კოვნოში გარდაიცვალა 4 ივლისს ცნობილი პედაგოგი და არქეოლოგი ნიკოლოოზ პეტრეს ძე ავენარიუსი.

— ციმბირში უნდოდათ კრება დაენიშნათ საერო-განათლების მოღვაწეთა, მაგრამ ტომსკის გუბერნატორს უცნობებია, მაგნაირ კრების მოწოდება ციმბირში სასურველი არ არისო.

— მოსკოვს გაუგზავნია საქონელი ამერიკაში 1901 წელს თითქმის 4 მილიონის მანათისა, 1802 წელს—ცოტა უფრო მეტი—თითქმის 5 მილიონისა, ხოლო უკანასკნელის წლის განმავლობაში, ესე იგი, შარშან, 1 ივლისიდან ამ 1903 წლის 1 ივლისამდე, გაუგზავნია 6,402,000 მანათისა. გააქვთ უფრო მატყლი, ტყავები, ტულუფები და სხვ.

—ვიწნიკიდან იწერებიან შემდეგს: „საკვირველი წესიერება სუფევს აქაურს სატუსაღოში. აქაურმა მოსამართლემ გადაუწყვიტა ერთს ნოქარს სამი მანეთი ჯარიმა, რადგან თავის დროზე არ ჩაწერილა ჯარის-კაცთა სიაში კენჭის ამოსაღებად, ან უნდა დაემწყვდიათ ერთის დღით. ფული არა ჰქონდა და წაიყვანეს სატუსაღოში. ტუსაღებმა მოსთხოვეს ახლად მისულს არყის ფული. ნოქარს ფული არა ჰქონდა. ტუსაღები დაემუქრნენ. საცოდავს ნოქარს შეეშინდა და რომ გადარჩენილიყო ტუსაღთა მუქარას, უთხრა: ორი დღითა ვარ დაპატიმრებული, ხვალ მოვლენ ჩემი მშობლები და მოგცემთო. საღამოს რვა საათზე ტუსაღებმა შეიტყეს, რომ ნოქარმა მოატყუვა. ორის საათის შემდეგ უნდა განთავისუფლებულიყო რაკი გაიგეს ეს ტუსაღებმა, დაავლეს ხელი ცოცხის კაი დონიერს ტარს, მისცვივდნენ საცოდავს და დაუმინეს. იქამდისინა სცემეს, ვიდრე ჯოხი შუაზედ გადატყდებოდა. თავ-პირ დასისხლიანებულ ნოქარს, თუმცა ბევრი იღრიალა მიშველეთო, მაგრამ არავინ მიხედა.

„როგორც იყო, გასხლტა ხელიდგან საბრალო და ის იყო უნდა გამოვარდნილიყო გარედ, რომ ერთმა ტუსაღთაგანმა შემოუქნია, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, და სთხლიშა სახეში ისე ძლიერად, რომ საბრალოს თვალთ დაუბნელდა და დაეცა. როდესაც იჯერეს გამხეცებულმა ტუსაღებმა გული და კარგად ჰგვემეს საცოდავი ნოქარი, ძლივს მაშინ შემოვიდა მეკარე, გაიყვანა ცოცხალმკვდარი ახალგაზრდა თავისს ოთახში, მოასულიერეს რის ვაი-ვაგლახით და მისცა წყალი, რომ თავ-პირი ჩამოებანა.

— რად ერევით მაგ კაცის მჯამლებში?! —უსაყვედურა თითქმის ციხის უფროსმა და შეუდგა ოქმის შედგენას, მაგრამ მაშინვე დაუწყო დამშვიდება, რომ არ გახიახებულიყო საქმე:—საშიში ხალხია ეგ ხალხი—დაიწყო ციხის უფროსმა:—დაგიხვდებიან სადმე ქუჩაში, როცა განთავისუფლდებიან, და ჩაგკრავენ გვერდში დანას იქნება მოგკლან კიდეც. ამიტომ გირჩევ თავი დანებო. შეშინებულმა ნოქარმაც მისცა ხელ-წერილი, რომ მოესპო საქმე.

უცხოეთი

სერბია. გაზ. „ინდ. ბუმ“-ს ბელგრადიდან სწერენ,—რაც უნდა ბევრს ეცადოს ახლად არჩეული მეფე სერბიისა, მაინც ვერ შესძლებს შინაურ უთანხმოების თავიდგან აცდენას; განხეთქილება უკვე ჩამოვარდა როგორც რადიკალთა, ისე ლიბერალთა დასში, და მათი მორიგება უიმედოდ შეუძლებელია. პაშიჩისა და ვუიჩის მიერ სახელმწიფო საბჭოს წევრობის უარყოფა—უბრალო საქმე როდია. მომავალ არჩევნებზე სწორედ ამ გარემოებას დაიხვევენ ხელზე, რომ მეფეს კონსტიტუციის დარღვევა დასდონ ბრალად, და ასტყდება შეუბრალებელი ბრძოლა რადიკალურ დასის ორ მოპირდაპირე ჯგუფთა შორის, რომელსაც ერთის მხრით პაშიჩი და ვუიჩი ხელმძღვანელობს და მეორეს—ჟივკოვიჩი და სტოიანოვიჩი. ჟივკოვიჩი და სტოიანოვიჩი რადიკალთა დემოკრატიის წარმომადგენელნი არიან. მათი პროგრამმა დიდად განსხვავდება ზომიერ რადიკალთა პროგრამმისაგან, რომელსაც ვუიჩი და პაშიჩი უდგანან სათავეში. მათ მიტომ არ ინდომეს სახელმწიფო საბჭოს წევრობა, რომ, მათის აზრით, მეფემ კონსტიტუცია დაარღვია—მინისტრები აირჩია რადიკალთა დასის უმრავლესობისაგან-კი არა (რომელთაც იგი მოიწვევს მეფედ), არამედ ამ დასის უკიდურეს ჯგუფს შორის, რომელმაც მოახდინა სისხლის ღვრაო. აქ, ალბად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რადიკალი წევრი კაბინეტისა, ჟივკოვიჩი და სტოიანოვიჩი, და სამი ლიბერალი—ავაკუმოვიჩი, ველიკოვიჩი და რიბარაცი.

მთავრობის მომხრე გაზეთობა-კი პაშიჩსა და ვუიჩს მოღალატეებს უწოდებს: პირველნი იმიტომ, რომ როცა სახელმწიფოს ღალატი დასწამეს და დააპატიმრეს მიუსაჯეს, მილანს მისწერა მეტად თავის დამამცირებელი წერილი, რომელშიაც სინანულს აცხადებდა და წყალობასა სთხოვდა. ვუიჩი-კი, მის მოპირდაპირეთა აზრით, იარაღი იყო ალექსანდრე მეფის ხელში, მორჩილი აღმასრულებელი მის ბოროტ განზრახვათა.

ლიბერალთა დასიც გაყოფილია ორ მტრულ ბანაკად, რომელნიც არც საზოგადო არჩევნების დროსა და არც სკუპშჩინაში ერთად არ იმოქმედებენ. განა შესაძლებელია ამ პირობებში შინაური მშვიდობიანობა დამყარდეს სამეფოში? რომელ მათგანს უნდა დაენდოს მეფე, რა ღონე უნდა იღონოს, რომ მშვიდობიანად ჰმართოს სამეფო და დააყენოს იგი წარმატებისა და გაძლიერების გზაზედ?

ავსტრია-უნგრეთი. ივლისის 2-ს უნგრეთის სეიმში მოხდა კრება, რომელმაც საბოლოოდ გამოარკვია დამოუკიდებლობის დასისა და კუენ-ჰედერვარის სამინისტროს ურთიერთობა იმ ლიდგენილების თანახმად, რომელიც წინა დამით გადასწყვიტა დასმა. ბაკონი, პოლონი, ბარაბაში და სხვა დეპუტატნი ოპოზიციისა შეეკითხნენ სამინისტროს, რამდენად გნებავთ დაკმაყოფილება დამოუკიდებლობის დასის მოთხოვნილებათა—უნგრეთის მხედრობაში მადიართა ენა იქმნას შემოღებული, დაურიგდეს მადიართა ბაირაღები და სხვა ამგვარი ეროვნული ნიშნებიო.

ორატორნი მეტად მოურიდებლად, მკვახედ ლაპარაკობდნენ და ხაზ-გასმით აღნიშნავდნენ მუქარას,—თუ ჩვენი მოთხოვნილებანი უარყოფილ იქმნა, უწყალო ობსტრუქციას გავმართავთ, ოპოზიციას ვერა შეაჩერებს-რა, რადგან წითელი დროშა (რევოლიუციონური) ბევრად სჯობს შავ-ყვითელსაო (ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო ფერებია). ერთმა დეპუტატმა განაცხადა,—ამ უკიდურეს ღონისძიებათა წყალობით კიდეც რომ ვერას გავხდეთ და დავმარცხდეთ, მაინც აბსოლიუტიზმი ნაკლებ საშიშია ჩვენთვის, ვიდრე ეროვნულ მოთხოვნილებათა უარყოფაო. ორატორებმა ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ავსტრიამ ვერ დაიმსახურა ნდობა და საჭიროა უნგრეთმა თავის მომავალზედ იფიქროსო.

ორატორებს პასუხი გასცა კუენ-ჰედერვარიმ და, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაჰპირებია ოპოზიციას,—ახალს რასმე დაგითმობთ.

ჰედერვარიმ განაცხადა, საზოგადოდ წინანდელ კაბინეტის (სელლის) პროგრამას შევუერთდები და საჭიროდ აღარა ვრაცხ რაიმე დავუმატო მის განმარტებასაო. დიდად მაოცებს და მაკვირვებს ოპოზიციის აზრი—ან რევოლიუცია, ან აბსოლიუტიზმი—მაგრამ ოპოზიციის მისწრაფება არ ეთანხმება ხალხის სურვილს: ხალხსა სწადიან მშვიდობიანობა, წესიერება და მუდმივობა; ამიტომაც იგი უეჭველად მხარს დაუჭერს სამინისტროსაო.

ჰედერვარის უკანასკნელ სიტყვებს ის მნიშვნელობა მისცა ოპოზიციამ, ვითომ მთავრობა პარლამენტის დათხოვნას აპირებდეს, და ამის გამო ერთი ვაი-ვაგლახი ასტყდა. ამ დროს წამოდგა კოშუტი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ობსტრუქციის წინააღმდეგი იყო და კინაღამ თავიც გაანება დამოუკიდებლობის დასსა—და განაცხადა, მთავრობის განზრახვა—პარლამენტის დათხოვნა უეჭველად გააერთიანებს მთელს ოპოზიციას, რომელიც შეუპოვრად წინააღმდეგობას გაუწევს მთავრობასაო. თავისი სიტყვა კოშუტმა იმით დაასრულა, რომ ხალხი არაოდეს არ მისცემს მხარს მთავრობასაო. კუენ-ჰედრევარიმ უპასუხა: „მაგასაც ვნახავთ! ფილიბუსტებთან ბრძოლის შედეგი ხალხსა და ამომრჩევლებზედ იქნება დამოკიდებულიო“. ამის შემდეგ კრება დასრულდა.

ნარკვევი

ცნობილმა მწერალ-პუბლიცისტმა შელგუნოვმა ოდესღაც გამოსთქვა ის აზრი, რომ პროვინციალური გაზეთები გამომცემელთა სპეკულიაციამ-კი არ შექმნა; იგინი შექმნა ადგილობრივ საჭიროებათა დაცვამ, მათის შესწავლის საჭიროებამ და თავისებურობაო. ამ გვარივე შეხედულობა გამოსთქვა გაზეთის მნიშვნელობაზე „Астр. Лист.“-მაც, რომელიც თხოულობს საზოგადოებისაგან, რომ იგი მეტის ნდობით მოეპყრას ბეჭდვითს სიტყვას:

„ძალიან სამწუხაროა, როდესაც შავბედითი კერძოობანი ჩვენის ყოველ-დღიურის ცხოვრებისა მძიმე ფარდით არის ჩამოფარებული და ცნობის მოყვარე თვალი ვერ სჭვრეტს. სად არის იმისთანა საშუალება, რომ ეს შავ-ბნელი ცხოვრება ხალხისა გამოაშკარავდეს, მიაქციოს იმას ხალხმა თვისი ყურადღება და საკმაო სინათლე მიაყენოს არსებულს ყოფა-ცხოვრებას? რა საშუალება უნდა ავარჩიოთ, რათა მყრალი ბნელი ცხოვრებისა გაბრწყინდეს მოკაშკაშე ნათელით და ფარდა ახდილი წარსდგეს ხალხის წინაშე თვისის შემაძრწუნებელის სახით? ამისთანა საშუალება-კი არის, საშუალება ნამდვილი და უტყუარი. ეს ღონე, ეს საშუალება—გაზეთია. სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ კიდევ ყველა არ უცქერის გაზეთს, როგორც ხალხის საჭიროებათა და სარგებლობის გამომთქმელს. გაზეთსა და მკითხველთ შორის რაღაც განკერძოება სუფევს. პროვინციალური მკითხველი ჯერ ვერ შეუკავშირდა გაზეთს მტკიცე კავშირით, თითქმის ეშინიან გამოსთქვას თვისი შეხედულობა, მიაყენოს ამა თუ იმ მწვავე საკითხს თვისის შეხედულობის შუქი. მიზეზი ამისა ის უნდა იყოს, რომ მკითხველს არა აქვს შეგნებული აზრი და მნიშვნელობა გაზეთისა, ან ცრუ წარმოდგენა აქვს გაზეთზე, და ფუძნებული იმ მოსაზრებებზე, ვითომ გაზეთის მუშაკთ აზრად მხოლოდ სპეკულიაცია აქვთ, თუმცა ამისთანა მოსაზრება, როგორც უსიამოვნო, უგუნურობაა, მაგრამ რა-კი არსებობს, უნდა ანგარიში გავუსწოროთ ამისთანა უგუნურებასაც. ამასთან გულში უნდა გვიხაროდეს, რომ ამისთანა სამწუხარო შეცდომას თანდათან ბოლო ეღება და იგი მხოლოდ უვიცთა ხვედრი-ღაა. მაგრამ დღითი დღე განათლების წინ სვლის გამო რიცხვი ამ გვართა უვიცთა თხელდება, კლებულობს და თავის დროზედ სრულიადაც გაჰქრება. ასეთია მოქმედება კულტურისა.

—

„Всемір. Вѣст.“-ს მე-5 №-ში ბ-ნი ბატურინსკი მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვდა პირველად ა. ი. გერცენი პოლონელთა დიდებულს მგოსანს ადამ მიცკევიჩს პარიჟში.

გახშამი იყო ხეიტცისთან. გერცენი რომ მივიდა, სახლში უკვე ბევრნი იყვნენ შეკრებილნი; ფრანგთაგანი არც ერთი სტუმარი არ იყო. სხვა ეროვნებისანი-კი ბევრნი იყვნენ. გერცენს, როგორც თითონაც ამბობდა, უფრო ადამ მიცკევიჩის ნახვა სწყუროდა.

„იგი იდგა,—ამბობს გერცენი,—„და ცალის იდაყვით მარმარილოს ფიცარზე იყო დაყრდნობილი. ვისაც-კი უნახავს მისი სურათი, ჩართული მის თხზულებათა გამოცემაში და გადაღებული, ვგონებ დავით ანჟეს მედალიონიდამ, ის მაშინვე იცნობდა იმას, თუმცა წლოვანებას ცვლილება დაემჩნია. მრავალნი ფიქრნი და ვნებანი მიმოქროდნენ მის სახეზე, რომელიც ლიტვურს უფრო მიაგავს, ვინემ პოლონურს. მისს სახეზე, მშვენიერ ჭაღარა თმით შემოსილ თავზე, დაღვრემილ გამომეტყველებაზე აღბეჭდილი იყო გამოვლილი მწუხარება, გულის ტკივილი, დარდ-ვარამი... ასე მოქმედებდა ჩემზე ვორცელის სახეც; მისი სახე უფრო დაავადებულს ჰგავდა, მაგრამ მეტყველება უფრო ცხოველი და მიმზიდველი ჰქონდა ვიდრე მიცკევიჩსა. მიცკევიჩს თითქო რაღაცა აფიქრებდა, ჰბოჭავდა და ეს რაღაც იყო მისი მისტიციზმი, რომელსაც თანდათან მეტად და მეტად ეძლეოდა.

გერცენი მივიდა იმასთან და მიცკევიჩმა ჩამოუგდო რუსეთზე ლაპარაკი; გერცენის აზრით, მიცკევიჩს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობანი ჰქონდა რუსეთზე შედგენილი, ლიტერატურულ მოძრაობაზე პუშკინის შემდეგ ცოტა რამ იცოდა. გერცენზე უსიამოვნოდ იმოქმედა იმ გარემოებამ, თუ როგორ დაუხვდნენ პოლონელები მიცკევიჩს: ისინი მიდიოდნენ მიცკევიჩთან ისეთის მოწიწებით, როგორც ბერები თვის იღუმენთან, ეთაყვანებოდნენ და ზოგნი მხარზე ჰკოცნიდნენ“.

—

ხან-და-ხან გაზეთებში ვკითხულობთ „ჯაჭვით დაბმულ ადამიანის შესახებ“ ცნობას. როდესაც კითხულობ ამისთანა შემაძრწუნებელს ამბავს,—ამბობს „ურ. ჟ.“-ის კორესპონდენტი—აგაღელვებთ ჩვენი სიბნელე, გაუნათლებლობა, მაგრამ მაშინვე მოგაგონდებათ: სიბეჩავე, სიღატაკე, მივიწყება ხალხისა, სკოლებისა და წიგნების უქონლობა სოფლად და გრძნობა-გონება გერევა, და გერყევა მართლ-მსჯელობა!.. სულ სხვაა, როდესაც პირდაპირ შეხვდებით „ჯაჭვით“ მიბმულს ადამიანს. მეტად შემაძრწუნებელი, საზარელი სანახავია, მაგრამ გრძნობთ,

რომ უღონო, სუსტი ხარ რაიმე დახმარება აღმოუჩინო, უშველო და რჩეობ გადიკარგო საითმე ანგარიშ-მიუცემლად, უსაზღვროდ, რომ დაივიწყო არამც თუ „ეს“ ადამიანი, არამედ ყოველივე, მაგრამ ფილენჯი გემართება და თვალებზედ მომდგარი ცრემლი გახრჩობს...

„რას მოვიფიქრებდი,—განაგრძობს კორესპონდენტი—თუ იქ, სადაც მე მივდიოდი, ეზოში ჯაჭვით დაბმული ადამიანი იქნებოდა, ამიტომ ეზოს კარები შევდე მშვიდად. გლეხ-კაცის კარ-მიდამო ჩვეულებრივს მდგომარეობაში იყო: აქა-იქ წამოყუნტულიყო წნულის შენობა, ზოგი დიდი და ზოგიც პატარა. აგერ ერთ ამათგანის კარებს ახლო რაღაცამ გაიფათურა და შეირყა თოკი, რომელიც მიბმული იყო რკინის კავზე. დავინახე აგრეთვე თოკის კვანძი, რომლითაც გაკრული იყო წელზე ძალზე გამხდარ-გამხმარ ხელებით რაღაცა აზრდილი ქალისა: გაძვალ-ტყავებულს ტანზე ამ საცოდავს ადამიანს გადაცმული ჰქონდა გოჭებამდის გატურტლული ტომარა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ვითომდა კაბა იყო, მაგრამ მთელი ტანი-კი უჩნდა საბრალოს.

დიდრონი, გრძელი, აბურძგვნილი, ძალზე ჭუჭყიანი თმა, ხალა-ულოში და ნაგავში ჰქონდა არეული. ველურად მეტყველ თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით, საგნიდან საგანზე... ნახევრად იჯდა დედამიწაზე, ხუთის ნაბიჯით დაშორებული ჩემზე და გახახვარდდევებული მზე თავისის თბილის სხივებით უალერსებდა ამ ცოცხლად უბედურს არსებას.

„Сѣв.“ Запад. Кр. გადმოგვცემს შემდეგს:

ხრაპოვიწისკის (ვიატ. მაზრა) ორ-კლასიან სამასწავლებლო სკოლაში, უბრალო ხალხს გაუმართეს ბაასი ჭაერის შესახებ. ხალხი დიდის ყურადღებით და გულ-დასმით ისმენდა. განსაკუთრებით დიდად იმოქმედა რამდენიმე საფიზიკო ცდამ. ეტყობოდათ, რომ აშკარა რამ მათთვის ახალი ხილი იყო და ახლად ამერიკის აღმოჩენა. კითხვამ პრაქტიკული ნაყოფიც გამოიღო: ერთმა გლეხმა, სხვათა შორის, ნახა რა, რომ თაგვმა, რომელიც ჩასვეს კარგს „ჭაერში“ (ჟანგბადი) ყურები აცქვიტა და იმან-კი, რომელიც ცუდს ჭაერში ჩასვეს ერთი საათიც ვეღარ იცოცხლა, აი, ამის მნახველმა გლეხმა სთქვა: „ამის შემდეგ ნებას აღარ მივცემ სახლში იყოლიონ ქათამი, ღორები და ცხვარი. მე უკვე შევუკვეთე დურგალს ფანჯრები ჭუჭრუტანებიანი გამიკეთოს, რომ ჭაერმა იმუშაოს. წინად გვეგონა, ჩვენი წერა-კითხვის მასწავლებელი რომ ხშირად უშვებდა ბავშვებს გარეთ ჭაერზე, რა საჭიროაო, ვამბობდით და მართალი უნდა მოგახსენოთ, უკმაყოფილონიც ვიყავით ბატონ მასწავლებელზე. ახლა კი ყველამ გავიგეთ, რისთვისაც იქცეოდა ასე. წამოიზრდება თუ არა ჩემი ბიჭი, უეჭველად მივაბარებ სკოლაში და ისწავლოს. ჩვენს დროში წერა-კითხვის მცოდნენი უფრო კარგად სცხოვრობენ. უსწავლელი ყურებს-კი და ვერა ხედავს“,—დაასრულა თავისი სიტყვა გლეხმა ბრძნულად.

რა თქმა უნდა, ყველა მსმენელებზე ასეთი გონივრული გავლენა არ იქონია კითხვამ ჰაერზე, მაგრამ საერთოდ კმაყოფილნი დარჩნენ. ბევრს უნანია კიდეც, რატომ არ დავესწარითო და ითხოვეს როდისმე მისი განმეორება. ეს მაგალითი ნათლად აქარწყლებს იმათ აზრსა, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ დაბალი ხალხი გონივრულს რასმე ვერ მიხვდება თავის შეუგნებლობითა და სიბნელითაო,

---

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 ივლისი.

პეტერბურგი. „დეპეშათა სააგენტომ“ მიიღო ცნობები, შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოწმებული, რომ 1 ივლისს ბიბიეიბათში მანთაშევისა და ბაქოს საზოგადოების ქარხნების მუშებმა საქმეზე ხელი აიღეს, მალე დანარჩენ ქარხნების მომუშავენიც გაიფიცნენ შავსა და თეთრს ქალაქში. 4 ივლისს გაიფიცნენ ბაქოს რკინის გზის სახელოსნოების მუშებიც და ამან შეაჩერა საქონლის მატარებელთა მიმოსვლა. ამ ჟამად ბაქოსა და ბალახანაში არც ერთი ქარხანა, ტრამვაი, სტამბა, კერძო სამრეწველოები და სახელოსნოები არა მუშაობენ. რამდენიმე უმნიშვნელო უწესოება მოხდა ქუჩებში. საჭირო შეიქნა ჯარების მოწვევა, რომლის რიცხვი ადგილობრივ საკმაოდ არის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატის პურის საჭმელ დარბაზში საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წარმომადგენელთა პატივსაცემლად სადილი გამართეს; სადილზედ ყველა ორატორმა განსაკუთრებულის ყურადღებით აღნიშნა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ძლიერდება მეგობრობა და შეუძლებელია, რომ მომავალში ამ ორ ქვეყანას შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდესო. დილის გაზეთები მოწონავე წერილებში სიხარულს აცხადებენ ამ მანიფესტაციის შესახებ და შეჰნიშნავენ, რომ ამის მსგავსი საზოგადოებათა პალატის ისტორიაში ჯერ არა მომხდარარაო.

რომი. პაპის ნეშტი დიდის ამბით გადაიტანეს წმ. პეტრეს ტაძარში და დაასვენეს ამფიონზედ საკურთხევლის წინ, იმ გვარად, რომ მოაჯირს გაღმოცილებულია მხოლოდ ფეხები განსვენებულისა. ხვალ ტაძარი გაღებული იქნება ხალხისათვის, რათა ფეხთ ეამბორონ განსვენებულს პაპს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფურს ჰკითხეს და მან უპასუხა იმის შესახებ, ვითომ ბალფურმა არაფერი არ იცის საფრანგეთისა და ესპანიის მთავრობათა შორის დადებულ კავშირის შესახებ.

სტამბოლი. „Agence de Constantinople“ აცხადებს, რომ საზღვარ-გარედ გავრცელებული ხმები, ვითომ ხონთქარი შეუძლოდ იყოსო,—სიცრუეა.

ბრიუსელი. გაზეთი „Etoile Belge“ იუწყება, რომ მეფე ლეოპოლდი აგვისტოში ბამტეინს გაემგზავრებაო.

ვენა. „Politische Correspondenz“-ში გამოქვეყნებულია საუბარი ბულგარიის მინისტრ-პრეზიდენტ პეტროვთან მაკედონიის შესახებ. პეტროვს გამოუცხადებია, რომ ყოველივე შიში ომიანობისა თავიდან აცილებულად მიმაჩნიაო და მრწამს, რომ ოსმალეთსა და ბულგარიას შორის შესაძლებელია გულწრფელი შეთანხმება ყველაფერშიო. უმთავრესი ღვაწლი საქმის ამნაირად დატრიალებისათვის მიუძღვის რუსეთსა და ავსტრიასაო.

დუბლინი. მრავალ ადრესის პასუხად მეფემ ჰბრძანა,—სიხარულით მოვისმინე, რომ ამ ბოლოს დროს ირლანდიის ერს გაჰღვიძებია იმედი და თავოსნობის სურვილიო. მე, როგორც მეფე, ბედნიერებად მივიჩნევ, თუ დრო ჩემის მეფობისა იქმნება დრო სოციალურის მშვიდობიანობისა და ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისაო.

ბელგრადი. დღეს საფრანგეთის ელჩმა ჩააბარა მეფეს რწმუნების ქაღალდი. მეფემ უბრძანა: „განსაკუთრებული საფუძველი გაქვთ, რომ კეთილად მიგიღოთ, რადგანაც წარმომადგენელი ხართ საფრანგეთისა, რომელმაც ჩემის სერბიიდგან განდევნის დროს პირველად მიმიღო და თქვენი ქვეყანა სამშობლოდ გადამექცაო; საფრანგეთმა პირველმა გამიღო კარები და ჩამაყენა თავის მხედრობის რაზმთა შორისაო“.

დღეს შესდგა საზოგადო არჩევნები. ბელგრადში რადიკალთა დასის კანდიდატების გამარჯვება უზრუნველ-ყოფილია.

რომი. კარდინალმა ორელიამ იმპერატორ ვილჰელმის დეპეშაზედ შემდეგი პასუხი გაჰგზავნა: „გმადლობთ თქვენო უდიდებულესობავ მწუხარების გასოცხადებისათვის, რომლითაც კეთილ-ინებეთ და მოჰმართეთ წმიდა კოლეგიას. კარდინალები, რომელთაც კარგად იციან, რა კეთილი ურთიერთობა არსებობდა თქვენსა და განსვენებულ მღვდელ მთავარს შორის, კვლავაც ისე იმოქმედებენ, რომ მეგობრობა არ დაირღვეს წმ. ტახტსა და გერმანიის იმპერიას შორის.

მოსკოვი. შინა-მრეწველობის მუზეის შეუკვეთეს ჰამბურგიდგან კორელის არყის ხის ნივთები.

11 ივლისი.

სამარა. პოკროვსკში ცეცხლი გაუფრთხილებლობით გაჩენილა. ცეცხლმა ორი კაცი იმსხვერპლა. ზარალი სამი მილიონია. დაზარალდნენ უფრო დამზღვევი საზოგადოებანი და შეძლებული პატრონები ამბრებისა. დაიწვა 212 სახლი, 110 სავაჭრო საწყობი, 7 საჩაიე, 2 სასტუმრო, 2 სასწავლებელი, ღამის თავშესაფარი, 179 ამბარი პურისა (1.650,000 მანეთისა), 11 საბარგო გემი, დატვირთული ჭირნახულით და რამდენიმე ვაგონი. შესდგა კომიტეტი გაჭირვებულ გადამწვართა დასახმარებლად. კომიტეტს 6,000 მანეთი აქვს; მიიღო კიდევ 25,000 მანეთი შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გაჭირვებულთა შორის განსანაწილებლად.

პეკინი. პრინცმა ცინმა მიჰმართა ამერიკის ელჩს წერილით და აცნობა, რომ უხერხულია თქვენი შუამდგომლობა მანჯურიის ქალაქებში ნება მივცეთ უცხოელთ ყოფნისაო. ეგ ქალაქები ჯერ ერთი ჩვენს მფლობელობაში არ არის და რუსეთის ჯარებს უჭირავს მეორედ, თქვენის თხოვნის ასრულებას დავილად შეიძლება საქმის გართულება რამმოჰყვესო.

რომი. ვეზუვი კვლავ აღმოაფრქვევს ცეცხლსა და ნაცარტუტს. ნაცარტუტის მდინარე პომპეისაკენ მიიმართება.

„Tribuna“ ამბობს, რომ საჰიგიენო მოსაზრებითა და აგრეთვე საზოგადო წესიერების დასაცველად პაპის ნეშტი სულ საკურთხეველშია დასვენებული მოაჯირს იქით და ფეხთ ამბორი აღარ შეიძლებაო.

პეტერბურგი. „სააგენტომ“ მიიღო ბაქოდგან პოლიციის დეპარტამენტში შესწორებული ცნობა—მუშები შეუდგნენ მუშაობასაო. ტელეფონი, წყლის დასაწმენდი და ტრამვაი ჰმოქმედობს. საქონლის მატარებლები გაჰგზავნეს. მუშები დამშვიდებულნი არიან.

მეზენი, სოფ. ბოჟგორში საოცარი სეტყვა მოვიდა. სეტყვის დაწყებამდე საშინელი გრგვინვა იყო. ჯერ წვრილი სეტყვა დაიწყო, მერმე თხილის ოდენა, და დასასრულ იმ სისხო, რომ თითო 35—80 მისხლამდე იწონიდა. სადაც მოასწრო წვრილ-ფეხ საქონელს, სულ გაჟუჟა; სხვილ-ფეხი საქონელი და ადამიანნი-კი მძიმედ დააშავა. სახლებში ფანჯრები ჩაამსხვრია. ზოგ-ზოგან სახურავებიც დასცხრილა. ხუთ ვერსის მანძილზე ნათესობა სრულიად გაანადგურა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში კრანბორნმა განაცხადა,—ავღანისტანის შესახებ წერილობით შევეკითხეთ რუსეთის მთავრობას, მაგრამ ამ ჟამად არ ძალმიძს ამის თაობაზედ რაიმე განმარტება მოგცეთო.—ოფიციალურ წრეებში არ უწყიან, როგორ გაიგიან პრინც ძინის ცნობა—უარ ყოფილია შუამდგომლობა მანჯურიის ქალაქთა შესახებაო. თუ იგი ჩინეთის მთავრობის აზრს სინამდვილით იუწყება, საქმის ვითარება, ალბად, საბოლოოდ გამოირკვევაო.

სოფია. ოფიციალურ წრეებსა და ოსმალეთის კომისარიატში საქმეთა ვითარება საკმაოდ მშვიდობიანად მიაჩნიათ, თუმცა აჯანყების მიზეზნი ჯერ მოსპობილი არაა. ხმები იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სტამბოლში აქვთ ამ ჟამად რეფორმათა პროექტის გაფართოების თაობაზე იმ აზრით, რომ მაკედონიაში უცხოელ კონსულთა კონტროლი დაინიშნოს რეფორმათა განსახორციელებლად, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ჯერ-კი არა მართლდება.—გადასწყდა შეიძინონ და განაახლონ სახლი გორნი სტუდენში, რომელშიაც ომიანობის დროს სცხოვრობდა მეფე-განმათავისუფლებელი. ამასვე აპირობენ იმ სახლის შესახებ, რომელიც პარადიმოში იმყოფება და რომელშიაც რუმინიის მეფე სცხოვრობდა.—ექზარხოსმა კიდევ წარუდგინა პორტას მოხსენება,—აუცილებლად საჭიროა მალე მოეღოს ბოლო სამღვდელოებისა და მცხოვრებთა ყოველგვარ დევნას, რომ ხალხი დასცხრეს, რის შემდეგაც შეიძლება რეფორმათა განხორციელებაო. დიდმა ვეზირმა დაარწმუნა ექზარხოსი, სწორედ ამ აზრით მოვახდინე საჩქაროდ განკარგულება და რეფორმების შემოღება განახლდაო. ამ ამბავმა მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ჰგონებენ, ოსმალეთის მთავრობა მხნედ ვერ ჰმოქმედობს. ყოველივე ფაქტებით უნდა დაემტკიცებინა პორტასაო.—მთავრის შვილები გაემგზავრნენ მურანს, უნგრეთს. მთავარი ორის კვირის შემდეგ დაბრუნდება.

ბელგრადი. ბულგარიის მთავარი შვილებით ვენისაკენ გაემართა.

ვენა. ოფიციოზური „კორესპონდენცია“ აცხადებს,—მინდობილი მაქვს გამოვაცხადო, რომ ბულგარულ გაზეთ „შტამპა“-ს ცნობა, ვითომც ბულგარიის მთავარი საზღვარ-გარედ იმიტომ მიემგზავრება, რომ გაურბის მხედრობის შეთქმულობასაო,—მართალი არ არის და ტენდენციურია. ივლისის 13-ს წლის თავია მთავრის მამის გარდაცვალებისა და მთავარი ყოველ წლივ ჩვეულებრივ ამ დღეს მამის საფლავს ინახულებს ხოლმე კობურგშიო.

სტამბოლი. ტრიპოლში (სირია) აღმოჩნდა ხოლერის ნიშნები და რამდენიმე შემთხვევაც იყო სიკვდილისა. სასანიტარო საბჭომ დაადგინა ხუთის დღის კარანტინი ტრიპოლიდგან მომსვლელ კაცთა და საქონელთათვის.

იმ ცნობაში, რომელიც პორტამ გაუგზავნა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებს კაპარს მომხდარ შებრძოლების შესახებ, ნათქვამია, რომ ამ ბრძოლაში მოკლულთ აღმოაჩნდათ ნაღმიანი ყუმბარები და მრავალი სარევოლიუციო გამოცემანიო.

კარაკასი. მეამბოხეთა ჯარი, გენერალ როლანდის წინამძღოლობით, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც 52 საათს გაგრძელდა, ტყვედ იქმნა წაყვანილი სიუდადსა და ბოლივარს. მთავრობა აცხადებს, რომ აჯანყება გადავდაო.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია, მთავრობის ხელში იყოს სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიების ქონებათა გამგეობა და რომ საერო განათლების სამინისტროს გადაეცეს ის ფული და ქონება აღნიშნულის ეკკლესიისა, რომელიც აცხოვრებდა სომეხ-გრიგორიანების საეკკლესიო სასწავლებლებს.

გამოცხადებულია, რომ ნიჟნი-ნოვგოროდსა და ოთხს მახლობელ მაზრაში ბაზრობის დროს შემოღებულ იქმნას გაძლიერებული დაცვის წესები.

12 ივლისი.

სოფია. მთავარი შვილებითურთ საზღვარ გარედ წავიდა. ჯერ კობურგს მიდის, შვილებს დასტოვებს ებენტალში პრინცესა კლემენტინესთან და თვითონ სადმე წყლებზე იქმნება კარგა ხანს. მთავარმა წასვლის წინად მიიღო სადაბარზოდ მინისტრ-პრეზიდენტი და სამხედრო მინისტრი. „მართებლობის უწყებაში“ ხალხს ეუწყება, რომ მთავარი მიდის რამდენისამე დღით საზღვარ გარედ. მთავარმა რეგენტობა მინისტრთა კრებულს ჩააბარა, რომელმაც უნდა განაგოს სამთავრო მთავრის დაბრუნებამდე.

სერბიის გაზეთებმა ბელგრადში მეტად საყურადღებო ამბავი დაჰბეჭდეს, ვითომ საქმეთა მდგომარეობა სოფიაში გამწვავებულია და მთავარი კაბინეტის ძალ-დატანებით სტოვებს ქვეყანას, რომ აღარ დაბრუნდეს შეთქმულობის გამოო.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა დაითხოვეს სამსახურიდგან მრავალი სააქციზო დეპარტამენტის მოხელე.

პეტერბურგი. კავკასიის უმაღლესის მთავრობის მიერ შეგროვილ იქმნა ცნობანი იმის შესახებ, თუ როგორ განაგებს სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის ქონებას მისი სამღვდელოება და აღმოჩნდა, რომ ეგ გამგეობა არ შეეფერება სახელმწიფოს ინტერესებს და არც თვით ეკკლესიის სარგებლობას. უმაღლესი ბრანებანი რომ გამოვიდა 2 ივნისს 1897 და 26 მარტს 1898 წ.წ.,—გადაეცით ქონება საეკკლესიო სკოლებისა საერო განათლების სამინისტროსაო, სომეხთა სასულიერო იერარქიამ წინაამდეგობა დაიწყო. ეგ წინაამდეგობა ის იყო, რომ უკან დაიჭიროს ზოგიერთი ქონება, რომელსაც უნდა ეცხოვრებინა სასწავლებელნი. ამისთანა ამბების თავიდგან ასაცილებლად, საჭიროდ იქმნა ცნობილი, რომ გამგეობა სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის ქონებისა მთავრობის ხელში გადავიდეს. მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ამ საგნის შესახებ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ამ წლის 12 ივნისს. ამ კანონით ხსენებული მამულები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრებად არის ცნობილი და არ ერთმევა უფლება შემოსავლის აღებისა, უკეთუ სასწავლებელთა ხარჯს გარეშე რამე დარჩება; სომეხ-გრიგორიანების ეკლესიის საჭიროებათა დაკმაყოფილების გარდა, განზრახულია 5% გადიდოს საგანგებო თანხის შესადგენად, რომლითაც ეკლესიას დახმარება უნდა ეძლეოდეს. ამ თანხის დაარსებით სომეხთა ეკლესიის კეთილ წარმატება უზრუნველ იქმნება; ეხლა-კი ამ სარწმუნოების მრავალ დაწესეულებას დიდძალი ქონება აქვს, როდესაც სხვა მრავალ სამრევლოებს მეტად ნაკლები შემოსავალი აბადია და სოფლის სამღვდელოება უზრუნველ-ყოფილი არ არის.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,37 1/2
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2
4% სახელმწიფო რენტა	98 3/4 იძლ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100 3/4 მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულთ ბანკის	95 1/8 მყიდ
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442 3/4 იძლ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 3/4 წვ. მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290 იძლ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა	3735 იძლ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	396 წვ. მყიდ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	191 1/2 წვ. მყიდ.

განცხადება

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НѢГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и Ко
МОСКВА.

САКОМЕРЦИО — საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ან-გარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка)

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ოგრიდოხოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(25—160—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз. Дворянства. დროებით-რ დაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი